



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბარტლის სკოლა

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი

წლიური ანგარიში 2017





სარჩევი

- 3 | ჩვენ შესახებ
- 4 | დირექტორის წერილი (ჩვენი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა)
- 5 | საგანმანათლებლო პროგრამები
ფედერალისტთა კლუბი / სტუდენტური კონფედერაცია
სტუდენტური ოლიმპიკადა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში
იმიტირებული პროცესი ნაფიხ მსაჯულთა მონაწილეობით
იმიტირებული განხილვა – როგორ დავიცვათ პროფესიული ეთიკა
- 9 | პროექტები
„ნაფიხ მსაჯულთა საინფორმაციო ქსელი“
მთარგმნელობითი პროექტი
„ნაფიხ მსაჯულთა სასამართლო რეფორმა საქართველოში – პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“
- 12 | საკონსტიტუციო რეფორმის მონიტორინგი
- 13 | საჯარო ლექციები
ცენტრის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექციები
ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით გამართული საჯარო ლექციები
- 15 | აკადემიური პუბლიკაციები/კონფერენციები
- 17 | მედია ჩვენ შესახებ
- 20 | თანამშრომლები
- 22 | საკონტაქტო ინფორმაცია



ჩვენ შესახებ

წარმოგიდგინთ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის წლიურ ანგარიშს 2017 წელს განეული საქმიანობის შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან აფილირებული საგანმანათლებლო კვლევითი ინსტიტუტია. ცენტრი 2012 წელს დაფუძნდა და დამატებით საგანმანათლებლო შესაძლებლობებს უქმნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებს, ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს და ეწევა აკადემიურ/პუბლიცისტურ საქმიანობას. ცდილობს, ყოველწლიურად გაამდიდროს სასწავლო პროცესი სხვადასხვა საინტერესო აქტივობით, რაც სტუდენტებს დაეხმარება, განივითარონ კრიტიკული აზროვნება, შეძლონ მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების უკეთ შესწავლა-გაანალიზება, შეიძინონ როგორც ცოდნა, ისე პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ცენტრის საქმიანობის მიზნებია:

- ქართული კონსტიტუციონალიზმის უახლესი წარსულის კვლევა;
- კონსტიტუციური უფლებებისა და ინსტიტუტების კვლევა;
- კონსტიტუციონალიზმის ინტერდისციპლინური შესწავლა.

მიმდინარე წელს ცენტრი აკვირდებოდა პარლამენტში კონსტიტუციის განხილვის პროცესს. ცენტრის თანამშრომლები ატარებდნენ საჯარო ლექცია-დისკუსიებს საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებზე, მონაწილეობდნენ საჯარო დებატებში სხვადასხვა მნიშვნელოვან ინიციატივაზე, ასევე ჩართულები იყვნენ საკანონმდებლო მუშაობასა და ადვოკატირების ინიციატივებში ადამიანის უფლებებისა და სხვა კონსტიტუციური საკითხების შესახებ, თანამშრომლობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ამ და სხვა ინიციატივების შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია ცენტრის საქმიანობის წინამდებარე ანგარიშში.

ღირაქტორის წერილი (ჩვენი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა)



ტრადიციულად წარმოგიდგინებ კონსტიტუციური კვლევების ცენტრის ყოველწლიურ ანგარიშს.

ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო 2017 წელი, რადგან საქართველოს პარლამენტმა დაასრულა კონსტიტუციის ახალ ტექსტზე მუშაობა და ფუნდამენტურად შეცვალა სახელმწიფოს ძირითადი კანონის მნიშვნელოვანი ნაწილები. ცენტრი ყურადღებით ადევნებდა თვალს რეფორმის პროცესს და არაერთხელ საჯაროდ გამოხატა საკუთარი პოზიცია სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

ჩვენ წელსაც გავაგრძელებთ ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიმართულებით მუშაობა, მოვიპოვებთ მცირე გრანტი ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ, რომელიც დაგვეხმარა, საგანამართლოებლო კამპანია ჩავატარებინა მთელ საქართველოში. აქვე განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ იმ სტუდენტების წვლილი, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა პროექტ „ნაფიცი მსაჯულთა საინფორმაციო ქსელის“ განხორციელება. სამართლის სკოლის სტუდენტების ენთუზიაზმისა და უდიდესი ენერჯის შედეგია, რომ წარმატებით ჩავატარეთ პროექტით გათვალისწინებული აქტივობები და შევქმენით ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს გულშემოთქმულთა ჯგუფები ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, თელავსა და თბილისში.

წელს ჩვენს საქმიანობას შეემატა მთარგმნელობითი მიმართულება. ცენტრმა პირველად მოიპოვა მთარგმნელობითი გრანტი, რომლის ფარგლებშიც მომავალ წელს დასრულდება და გამოიყენა ცნობილი ამერიკელი ავტორების – ნილ ვიდმარისა და ვალერი ჰანსის წიგნი: „ამერიკელი მსაჯულები – ვერდიქტი“. ვულოცავთ ამ წარმატებას კონსტიტუციური კვლევების ცენტრსა და სამართლის სკოლის სტუდენტებს. მალე ჩვენს ბიბლიოთეკას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა შეემატება.

ასევე 2017 წლის მიწურულს 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში მოვიპოვეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტი ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის კვლევისა და საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით. პროექტი – „ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო რეფორმა საქართველოში – პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“ ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულთა სისტემის რეფორმის მიმდინარეობის სიღრმისეულ კვლევას, აღნიშნული თემატიკის აკადემიური დისკურსის ინიცირებასა და, ზოგადად, ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირებას, ინსტიტუტის მეშვეობით მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას.

დანვრილებით ანგარიშში აღვწერთ ცენტრის საქმიანობის შესახებ, აქ კი გვინდა მადლობა გადავუხადოთ სამართლის სკოლის თანამშრომლებსა და დეკანს, რომელთა დახმარების გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი პროგრამების ეფექტურად განხორციელება. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ სამართლის სკოლის სტუდენტების შრომა, რაც უდიდეს ენერჯიას გვაძლევს და ახალი პროგრამების შექმნაშიც გვეხმარება.

პატივისცემით
გიორგი მელაძე,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი.



საგანმანათლებლო პროგრამები

ფედერალისტთა კლუბი / სტუდენტური კონფერენცია

ფედერალისტური წერილებით დასაბამი დაედო აშშ-ის კონსტიტუციის გააზრების პროცესს, რაც კონსტიტუციის არსზე, მის დანიშნულებაზე დისკუსიების წამოწყების საფუძველი გახდა.

პროგრამის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრი ცდილობს, სტუდენტებისთვის თვალსაჩინო გახადოს ის საჯარო განხილვები, რომლებიც კონსტიტუციისა და კონსტიტუციური საკითხების აქტუალობაზე მიუთითებს.

პროგრამაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები არიან ჩართულნი. აქტივობის ფარგლებში ყოველკვირეულად იმართება შეხვედრები, რომლებზეც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ წერილებს, უყურონ ფილმებს, გამოთქვან მოსაზრებები, მოაწყონ დისკუსიები/დებატები. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართულია სტუდენტთა მეოთხე ნაკადი. პროგრამაზე მიღება ეტაპობრივად განახლდება.

2017 წლის 25 მაისს „ფედერალისტთა კლუბის“ ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „ამერიკული საკონსტიტუციო ოდისეა – როგორ შეიქმნა მსოფლიოში პირველი სადამფუძნებლო აქტი“.

კონფერენციისთვის მომზადებული მოხსენებების ავტორები იყვნენ: მარიამ გაბრიჩიძე, დემეტრე წიქორაძე, ბარბარე მაჭარაშვილი, თამარ ლუაშვილი, მურად შუბითიძე, ლევან ოსაძე, მარიამ ხურცილავა, კესო ხუბუა.

პროგრამას ხელმძღვანელობს კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი გიორგი მუმლაძე.



საგანმანათლებლო პროგრამები

სტუდენტური ოლიმპიადა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის ორგანიზებით, 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გაიმართა „სტუდენტური ოლიმპიადა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“. ოლიმპიადა სამი ტურისგან შედგებოდა და მასში სამართლის სკოლის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ოლიმპიადის ნახევარფინალური ეტაპის იმიტირებულ პროცესებს მოსამართლეების სტატუსით უძღვებოდნენ სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის თანამშრომლები: გიორგი მელაძე, გიორგი მუმლაძე და ალიკა კუპრავა, ხოლო ფინალურ ეტაპს უძღვებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი.

ოლიმპიადის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი (მოსარჩელე მხარე) სამი სტუდენტის შემადგენლობით, ესენი არიან: მარიამ გაბრიჩიძე, ბარბარე მაჭარაშვილი, მამია ლურწკაია. მათ, ასევე II ადგილზე გასული გუნდის წევრებს, გადაეცათ წიგნის სახლ „ლიგამუსის“ სასაჩუქრე ვაუჩერები.

ოლიმპიადის ნახევარფინალურ ეტაპზე გადასულ ყველა მონაწილეს ოლიმპიადაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა.



საგანმანათლებლო პროგრამები

იმიტირებული პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით

2017 წლის 9 ივნისს კონსტიტუციური კვლევების ცენტრის ორგანიზებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა იმიტირებული პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

პროცესში მოსამართლის სტატუსით მონაწილეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა მეიშვილი – უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ასევე მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები.

პროცესს დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ ამერიკელი მოსამართლეები: ჯეიმს ბედიფორდი და ჯეკ პერტენი.



საბანმანათლებლო პროგრამები

იმიტირებული განხილვა – როგორ დავიცვათ პროფესიული ეთიკა

2017 წლის 16 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებმა, სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მხარდაჭერით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის კომისიის იმიტირებული განხილვა.

ამგვარი პროცესი პირველად გაიმართა, რითაც პროფესიული ეთიკით დაინტერესებულ სტუდენტებს კარგი შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ეთიკის კოდექსსა და საქმის განხილვის პროცესს. პროცესის მომზადებაში მონაწილეობდნენ გიორგი მელაძე და მონვეული ლექტორი იზაბელ შრანკი.

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი კვლავაც აგრძელებს აღნიშნულ თემატიკაზე იმიტირებული პროცესების სერიას და დაინტერესებულ სტუდენტებს ინვესს ადვოკატირებისა და პროფესიული ეთიკის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. (<http://conlaw.iliauni.edu.ge/programebi/tchavtchavadzis-advokatirebisa-da-prophesiuli-ethikis-shejibri-studentebisthvis/>)



პროექტები

პროექტი „ნაფიც მსაჯულთა საინფორმაციო ქსელი“

პროექტი „ნაფიც მსაჯულთა საინფორმაციო ქსელი“ 2017 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და იმავე წლის 25 დეკემბერს დასრულდა.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი იყო ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ხელმძღვანელი – კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი გიორგი მელაძე.

პროექტის მიზანი იყო ნაფიც მსაჯულთა საინფორმაციო ქსელის განვითარება და საზოგადოების ინფორმირების გზით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოპულარიზაცია, აქტიური სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2017 წლის გაზაფხულზე საქართველოს 7 ქალაქში – ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში, თელავში, რუსთავსა და თბილისში – იმპლემენტებული სასამართლო პროცესები გაიმართა, რომლებსაც მოსამართლის სტატუსით ცენტრის დირექტორი გიორგი მელაძე ესწრებოდა. პროცესების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში ასევე მონაწილეობდა პროექტის ფარგლებში 6 თვით დასაქმებული სამართლის სკოლის 14 სტუდენტი.

7-10 ივლისს გაიმართა ზაფხულის სკოლა ბაკურიანში. სკოლას უძღვებოდნენ: პროექტის ხელმძღვანელი გიორგი მელაძე და ზაფხულის სკოლაში მონაწილე ლექტორები: ვილფრედ ლორიელის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნიკოლაი კოვალევი (კანადა) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი გიორგი მუმლაძე. ზაფხულის სკოლაში ასევე მონაწილეობდნენ პროექტში დასაქმებული სამართლის სკოლის სტუდენტები და იმპლემენტებული პროცესის გამარჯვებულები.

პროექტი წარმატებით განხორციელდა და ნაფიც მსაჯულთა თემათვის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანი გამოცდილება და საფუძველი გახდა ჩვენთვის.

2017 წლის დეკემბერში 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე მოვიპოვეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.




პროექტი

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეფორმა საქართველოში – პირველი ნაბიჯები და პირველი გამოწვევები“

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, 2017 წლის მიწურულს კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი გრანტი (2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის კვლევისა და საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სისტემის რეფორმის მიმდინარეობის სიღრმისეულ კვლევას, აღნიშნული თემატიკის აკადემიური დისკურსის ინიცირებასა და, ზოგადად, ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირებას, აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას.

პროექტს ხელმძღვანელობს კანადის ვილფრედ ლორეალის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნიკოლაი კოვალევი.

პროექტის ხანგრძლივობა 3 წელია.



პროექტები

მთარგმნელობითი პროექტი

კონსტიტუციური კვლევების ცენტრმა გაიმარჯვა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის – საქართველოში ამერიკის საელჩოს (Public Affairs Section (PAS), U.S. Embassy, Tbilisi, Georgia) მიერ გამოცხადებულ მთარგმნელობით პროექტში. პროექტის ფარგლებში ითარგმნება ცნობილი ამერიკელი ავტორების წიგნი: American Juries: The Verdict (Neil Vidmar, Valerie P. Hans). გამოცემის წელი – 2007 წ., გამომცემელი – Prometheus Books.

პროექტის კოორდინატორია კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი გიორგი მელაძე.

საკონსტიტუციო რეფორმის მონიტორინგი

როგორც ეს დასაწყისშია აღნიშნული, ცენტრი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის დროიდან მონიტორინგს უწევს საკონსტიტუციო რეფორმას.

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესში განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა, გამოქვეყნდა არაერთი პროექტი. ცენტრმა საკუთარი პოზიცია გამოხატა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ინსტიტუციური მოწყობა, ხელისუფლების გამიჯვნისა და ურთიერთგანონასწორების პრობლემა;
- ადამიანის უფლებების მარეგულირებელი ნორმები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური გარანტიები.

საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებზე მუშაობისას ცენტრი არაერთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა. მათგან გამორჩეულ ყურადღებას დაუთმობთ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან“, „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის პლატფორმასა“ და, ტრადიციულად, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამასთან (PITA)“ თანამშრომლობის გამოცდილებას.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა ორგანიზება გაუწია რელიგიის თავისუფლების მუხლში შეტანილი ცვლილებების საჯარო განხილვას, სადაც ცენტრმა საკუთარი პოზიცია წარმოადგინა. ერთობლივად შემუშავდა მიმართვა, რომელიც გაეგზავნა სახელმწიფო ინსტიტუციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიმართვის ადრესატები იყვნენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის (ვენეციის კომისია), გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სპეციალური მომხსენებელი რელიგიის საკითხებში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (<http://tdi.ge/ge/statement/arasamtavrobo-organizaciebisa-da-iuristebis-mimartva-konstituciashi-religiis-tavisuplebis>).

„ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამასთან (PITA)“ ცენტრს თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ცენტრის მკვლევრებმა არაერთი ლექცია ჩაატარეს პროგრამის ბენეფიციარებისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო რეფორმის საკითხების შესახებ მსჯელობაში ფართო საზოგადოების ჩართვა; პროგრამის დახმარებით შესაძლებელი ხდება ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართულობის გაზრდა.





საჯარო ლექციები

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი კონსტიტუციის აქტუალურ საკითხებზე მართავს საჯარო ლექციადისკუსიებს, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, უშუალოდ კომპეტენტური პირებისგან მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და მოისმინონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. 2017 წელს ცენტრმა ორგანიზება გაუწია შემდეგ საჯარო ლექციებს:

ცენტრის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექციები:

„პიროვნული უსაფრთხოება, სოციოეკონომიკური განვითარება საქართველოში“ – არჩილ ყარაულაშვილი, თორნიკე ნოზაძე, ზურაბ ქიაბერაშვილი, გიორგი ქადაგიძე, კობა თურმანიძე, გიორგი მელაძე;

„კანონიერების კულტურა იაპონურ საზოგადოებაში“ – იაპონიის ელჩის მრჩეველი ტომონორი ჰასეგავა;

„ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ მიმდინარე რეფორმები“ – კოკა კილურაძე, სევდია უგრეხელიძე, გიორგი ნონიაშვილი;

„სამოქალაქო მოძრაობები და დემოკრატიული განვითარება“ – მაჩი ბარტკოვსკი (ამერიკელი მკვლევარი), გიორგი მელაძე;

„რელიგიის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციაში, რეფორმის მიმოხილვა“ – მაკო ლავთაძე, გიორგი მელაძე;

„გამოხატვის თავისუფლება და გაუმჟღავნებლობის ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში“ – გიორგი ჩიტიძე, გიორგი მელაძე;

„ადმინისტრაციული სამართალწარმოების გამოცდილება საქართველოში“ – დეა ცარციძე, გვანცა ბესელია, გიორგი მელაძე;

„ადამიანის უფლებები და ჩვენი კონსტიტუცია“ – გიორგი მუმლაძე.



საჯარო ლექციები

ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით გაკრთული საჯარო ლექციები:

საქართველოს პრეზიდენტის მიერ წამოწყებული კამპანიის – „კონსტიტუცია ყველასია“ ფარგლებში ცენტრის მკვლევრებმა საჯარო ლექციები ჩაატარეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში:

- „პრეზიდენტის არჩევის წესი და მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის საკითხი“ – გიორგი მუმლაძე და ალიკა კუპრავა, ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- „არჩევნები და პრეზიდენტის არჩევის წესი“ – გიორგი მუმლაძე და ალიკა კუპრავა, ქ. ზუგდიდი, შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- „პრეზიდენტის ირიბად არჩევის წესში თვითმმართველობის მონაწილეობის საკითხი“ – ალიკა კუპრავა, ქ. ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების საკითხი და კულტურული მემკვიდრეობის, როგორც უფლების ამოღება კონსტიტუციის პროექტიდან“ – გიორგი მუმლაძე და ალიკა კუპრავა, ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სტუდენტური ჯგუფების მოწვევის საფუძველზე გამართული საჯარო ლექციები:


- „რელიგიის თავისუფლება საქართველოში“ – გიორგი ნონიაშვილი, ქ. გორის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმისა და ქ. ზუგდიდის საუნივერსიტეტო სივრცეები;
- საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღისადმი მიძღვნილი დისკუსია: „კონსტიტუციური წესრიგის 22 წელი“ – გიორგი მუმლაძე, მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი;
- „სამართლის ჩუმი რევოლუცია – ნაფიცი მსაჯულები“ – გიორგი მელაძე, ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრი;
- „ვინ მოკლა ჯაფარა“ - ფილმის განხილვა და ლექცია თანასწორობის საკანონდმებლო რეგულირებაზე – გიორგი მელაძე, ELSA;
- „მართლმსაჯულება ყველასთვის“ – ფილმის განხილვა – გიორგი მელაძე, სტუდენტური თვითმმართველობა;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეფორმა საქართველოში – გიორგი მელაძე, ELSA.



აკადემიური პუბლიკაციები/კონფერენციები

აკადემიური პუბლიკაციები

- გიორგი მელაძე, გიორგი ჩიფჩიური: „ეროვნული უშიშროების ფუნქციის დუბლირება, კონსტიტუციური წინააღმდეგობა“ (პუბლიკაცია გამოქვეყნდება კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვის მე-12 ნომერში);
- ალიკა კუპრავა: „ახალი წესით პარტიულ პრეზიდენტს ვირჩევთ“;
- ალიკა კუპრავა: „საქართველოს კონსტიტუციაში უახლესი ცვლილებების მიღების სრული ისტორიის შესახებ“.



აკადემიური პუბლიკაციები/კონფერენციები

კონფერენცია

ცენტრის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო 2017 წლის 21-25 ივნისს მეხიკოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კვლევის შედეგები გააცნო ამერიკელ, არგენტინელ, უნგრელ და იაპონელ კოლეგებს.

კონფერენციას ორგანიზებას უწევდა სამართლისა და საზოგადოების ასოციაცია. კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები დაფინანსდა აშშ ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების ხელშეწყობის გრანტის ფარგლებში (National Science Foundation – IRC Grants).



მედია ჩვენ შესახებ

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ სამაუწყებლო, ბეჭდვით და ონლაინმედიასთან. ცენტრის თანამშრომლები აკეთებდნენ განმარტებებს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრობლემებზე, მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივებსა და საკონსტიტუციო რეფორმის ამა თუ იმ საკითხზე:

გიორგი ნონიაშვილი – გადაცემა „ბარიერი“, „ციანიდის საქმისა“ და ხელისუფლების გადაცდომების შესახებ; <http://conlaw.iliauni.edu.ge/noniashvili-tsianidis-saqmeze-da-khelisuphlebis-gadatsdomebze/>

გიორგი ნონიაშვილი – გადაცემა „ბარიერი“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სურვილების შესახებ; <http://conlaw.iliauni.edu.ge/noniashvili-iustitsiis-umaghlesi-sabtchos-survilebze/>

გიორგი მუმლაძე – რადიო თავისუფლება, გადაცემა „დილის საუბრები“, თემა: „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის სტარტზე“; <https://www.radiotavisupleba.ge/a/28254315.html>

ალიკა კუპრაშა – „რუსთავი 2“, გადაცემა „კურიერი“; პირდაპირ ეთერში ჩართვის საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის შემჭიდროვებული ვადების შესახებ პირდაპირი ეთერი; <http://rustavi2.ge/ka/news/66659>

ალიკა კუპრაშა – პირველი რადიო, გადაცემა „მეშვიდე სართული“, თემა: „სახელმწიფო მონყობის სისტემები და პოლიტიკა; რატომ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი პირდაპირი წესით“; <https://soundcloud.com/user-864778815/09032017a-1>

ალიკა კუპრაშა – „რუსთავი 2“, გადაცემა „კურიერი“. პირდაპირ ეთერში ჩართვისას ალიკა კუპრაშამ გააკრიტიკა პარლამენტის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც ის უარყოფითად აფასებდა პრეზიდენტის ჩართვას კონსტიტუციის საჯარო განხილვების პროცესში; <http://rustavi2.ge/ka/news/70158>

ალიკა კუპრაშა – რადიო თავისუფლება, „დილის საუბრები“, თემა: „საკონსტიტუციო ცვლილებების მზადების პროცესი. სად და ვის მიერ უნდა იქნას შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი, მნიშვნელოვანია თუ არა საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში“; <https://www.radiotavisupleba.ge/a/morning-show-guest/28381980.html>



მედია ჩვენ შესახებ

ალიკა კუპრაშვილი – რადიო თავისუფლება, გადაცემა „დილის საუბრები“, თემა: „საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით დამტკიცებული კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ“; <https://www.radiotavisupleba.ge/a/28764099.html>

ალიკა კუპრაშვილი – რადიო „კომერსანტი“, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესის შეჯამება (24,04,2017); <http://conlaw.iliauni.edu.ge/alika-kuprava-sakonstitutsio-tsvlilebebeze/>

ალიკა კუპრაშვილი – რადიო თავისუფლება, ახალი ამბები, თემა: „პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერების მნიშვნელობა“ (პარლამენტის თავმჯდომარე vs პრეზიდენტი); <https://www.radiotavisupleba.ge/a/parlamentis-tavmjdomare-vcs-prezidenti/28457138.html>

გიორგი მუმლაძე – რადიო თავისუფლება, გადაცემა „დილის საუბრები“, თემა: „საქართველოს კონსტიტუციის გადახედვის პროექტი და საყოველთაო-სახალხო განხილვები“; <https://www.radiotavisupleba.ge/a/28490875.html>

გიორგი მუმლაძე – ჟურნალი „ლიბერალი“, სტატია: „ასუსტებს თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები კულტურის დარგის დაცვის მექანიზმებს“; პრობლემები, რომლებიც ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შეექმნება კულტურული გარემოს ცნებას; <http://liberali.ge/articles/view/29359/asustebs-tu-ara-sakonstitutsio-tsvlilebebi-kulturis-dangis-datsvis-meganizmebs>

გიორგი მუმლაძე – მარნეულის რადიო, გადაცემა „ცნობიერება“, თემა: „საკონსტიტუციო ცვლილებები“; საერთო-სახალხო განხილვების გავლენა ცვლილებების პროცესზე; <http://marneulifm.ge/ka/2017/05/20/cnobiereba/>

გიორგი მუმლაძე – რადიო თავისუფლება, ახალი ამბები, თემა: „ქორწინების დეფინიციის საკითხი კონსტიტუციაში“; <https://www.radiotavisupleba.ge/a/qalisa-da-mamakatsis-konstitutsiuri-ertoba-tsvlileba/28536073.html>

გიორგი მუმლაძე – სტუდია მონიტორი, სიუჟეტი: „ახალი კონსტიტუცია VS კულტურული მემკვიდრეობა“; შედეგები, რომლებიც შეიძლება მოიტანოს კონსტიტუციიდან 34-ე მუხლის გაქრობამ კულტურული მემკვიდრეობისთვის; https://www.youtube.com/results?search_query



მედია ჩვენ შესახებ

გიორგი ნონიაშვილი – რადიო საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „პიკის საათი“; თემა: „საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები“; <http://radio1.ge/ge/videos/view/185988.html>

გიორგი ნონიაშვილი – რადიო საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „უფლება და თავისუფლება“; თემა: „საქართველოში ინტერნეტსივრცისა და მასზე განთავსებული კონტენტის კონტროლის საშუალებები“; <http://radio1.ge/ge/videos/view/186103.html>

გიორგი მუმლაძე – რადიო მარნეული, ახალი ამბები „კონსტიტუციური პროექტის პირველი მოსმენით კენჭისყრაზე“; <http://marneulifm.ge/ka/>

გიორგი ნონიაშვილი - საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „ეპიცენტრი“; თემა: „საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესი, პირველ და მეორე მოსმენის ფარგლებში“; <http://2tv.ge/ge/videos/view/186173.html>

გიორგი ნონიაშვილი - საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მთავარი – თამარ ჩიქოვანთან“; თემა: „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა და საკონსტიტუციო ცვლილებები, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების უგულებელყოფა“; <http://2tv.ge/ge/videos/view/186173.html>

გიორგი ნონიაშვილი – რადიო თავისუფლება, გადაცემა „გენდერული ამბები“; თემა: „კონსტიტუციაში ქორწინების ჩანაწერის ცვლილება“; <https://www.radiotavisupleba.ge>

ალიკა კუმრავა – გაზეთი „ფაქტ-მეტრი“, თემა: „სახელმწიფოებრივი საფრთხეები კონსტიტუციის პროექტში, სახელმწიფოებრივი საფრთხეები პრეზიდენტის არჩევის წესში“; <http://factcheck.ge/article/sakhelmtsiphoebrivi-saphrthkheebikonstitutsiis-proeqtshi/>

გიორგი მუმლაძე – საზოგადოებრივი რადიოს დავით შაიქაძის გადაცემა „სალამოს პიკის საათი“, თემა: „ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების შესახებ“.



გიორგი მელაძე

სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის დირექტორი 2013 წლიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი 2014 წლიდან.

მისი კვლევის სფეროებია: სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი და ადამიანის სამოქალაქო უფლებები, მედიის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

გიორგი მელაძეს ადგილობრივსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს. მონაწილეობდა პარლამენტსა და მთავრობასთან არსებულ სამართლებრივი რეფორმის ჯგუფებში საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, ადამიანის ძირითადი უფლებების და ანტიკორუფციული მიმართულებით. 2002-2003 წლებში კვლევითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, 2004 წელს კვლევითი პროექტის ფარგლებში მუშაობდა გამოსაჯვის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში Article 19, 2008-2012 წლებში აქტიური წევრის უფლებამოსილებით მონაწილეობდა ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩოკონვენციის ფარგლებში შექმნილ მრჩეველთა საბჭოში და მოამზადა მოხსენებები

სლოვაკეთის, პოლონეთისა და ჰოლანდიის შესახებ. 2004 წლიდან ასწავლის საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის ფაკულტეტზე. მისი რედაქციით გამოცემული წიგნი „რელიგიის თავისუფლება“ სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე გამოიყენება ძირითად სახელმძღვანელოდ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კონსტიტუციური კვლევების დირექტორია 2013 წლიდან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორია 2014 წლიდან.



გიორგი მუმლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი.

მისი კვლევის სფეროა საჯარო სამართალი, კერძოდ, მუნიციპალური სამართალი, არჩევნები, სახელმწიფო მოწყობა და მმართველობა. გიორგი მუმლაძე ჩართულია საარქივო კვლევაში – საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ (1918-1921 წწ.); ასევე იკვლევს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას საქართველოში; ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე იმპერიულ სასამართლო პროცესებში და ხელმძღვანელობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფედერალისტთა კლუბს“.

თანამშრომლები



ალიკა კუპრავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი.

მისი კვლევის სფეროა საჯარო სამართალი, კერძოდ, სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცობა და მმართველობის ფორმები. ალიკა კუპრავა იკვლევს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკას გამოხატვის თავისუფლების საქმეებზე; ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე იმპერიულ სასამართლო პროცესებში.

მისი კვლევის სფეროებია: საჯარო სამართალი, უმცირესობების უფლებები, რელიგიური გაერთიანებების უფლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკა.



ნინო ჯელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის კოორდინატორი. ნინო კოორდინაციას უწევს ცენტრის აქტივობებს, მონაწილეობს მათ დაგეგმვასა და შემდგომ მონიტორინგში.



გიორგი რონაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი, სამართლის სკოლის ლექტორი.



საკონტაქტო ინფორმაცია

 ილია ქავჭავაძის გამზ. №32, ოთახი A 406

 www.conlaw.iliauni.edu.ge

 www.facebook.com/conlawiliauni

 conlaw@iliauni.edu.ge